ᲐᲬᲛᲧᲝ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ

ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
„პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №10, 2025 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია პროექტის – **„მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“** ფარგლებში. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი.**

გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე

პროექტის გუნდი.

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ბიულეტენი ასახავს ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებულ მდგომარეობას ევროკავშირში გაწევრიანების დე ფაქტო შეჩერებული პროცესის პირობებში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ 2023 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ

2016 წლის ივლისი
ძალაში შედის ასოცირების შესახებ შეთანხმება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭროს სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)

2022 წლის მარტი
ქვეყანას ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადი შეაქვს

2023 წლის ნოემბერი
ევროკომისია რეკომენდაციას უწევს ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას იმ პირობით, რომ გადაიდგმება ცხრა ნაბიჯი

2023 წლის დეკემბერი
ევროპული საბჭო ქვეყანას ანიჭებს კანდიდატის სტატუსს იმ პირობით, რომ საქართველო ევროკომისიის რეკომენდაციით გათვალისწინებულ ნაბიჯებს შეასრულებს

2024 წლის ივნისი და ოქტომბერი
ევროპული საბჭო მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის მოქმედების კურსი საფრთხეს უქმნის ქვეყნის სვლას ევროკავშირისკენ და აფერხებს გაწევრიანების პროცესს

2024 წლის დეკემბერი
ევროპული საბჭო წუხილს გამოთქვამს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებაზე, 2028 წლამდე შეაჩეროს ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲓᲛᲘ

ევროკავშირი **საქართველოს უმსხვილესი ფინანსური მხარდამჭერია.** მიუხედავად იმისა, რომ მთავრობისთვის განკუთვნილი ორმხრივი მხარდაჭერა შეჩერებულია, ევროკავშირი აგრძელებს იმ პროგრამების განხორციელებას, რომლებსაც უშუალოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის მოაქვს სარგებელი.

სამეზობლო, განვითარებისა და თანამშრომლობის ინსტრუმენტი – გლობალური ევროპა (NDICI-GE)

2021-2024 წლებში ევროკავშირმა საქართველოს NDICI-GE-ის ფარგლებში გრანტების სახით საორიენტაციო **340 მილიონი ევრო გამოუყო**. ეს თანხები სოციალური და ეკონომიკური განვითარებისა და ე ვროკავშირის სტანდარტებ და ნორმებთან შესაბამისობისთვის გაწეულ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას წარმოადგენს.
ამჟამად, დემოკრატიული სტანდარტების უკუსვლაზე საპასუხოდ, ევროკავშირი აჩერებს ორმხრივ ფინანსურ დახმარებას, რომელიც უშუალოდ საქართველოს ხელისუფლებას მიეწოდებოდა, პარალელურად კი ზრდის საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერას.

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

- უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი
- უმსხვილესი ინვესტორი
- უმსხვილესი ფინანსური მხარდამჭერი

მჯიდრო სავაჭრო კავშირები



ევროკავშირი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია. 2024 წელს ევროკავშირის წილი საქართველოს მთლიან ვაჭრობაში 22.1%-ს შეადგენდა. ევროკავშირის ექსპორტმა საქართველოში 2024 წელს 4.3 მილიარდი ევრო შეადგინა.

2016 წლის ივლისიდან ევროკავშირი-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები განისაზღვრება **ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის** (DCFTA) შესახებ შეთანხმებით, რომელიც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ნაწილია.

საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკა

უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა გრძელდება, თუმცა მასზე ზეგავლენას ახდენს საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები:

- საქართველოს თანხვედრა ევროკავშირის საერთო საგარეო და **უსაფრთხოების პოლიტიკასთან** კვლავ დაბალია.
- ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობა მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში **ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა** და სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის **სპეციალური წარმომადგენლის საქმიანობის** მეშვეობით. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ადგილზე მომუშავე ერთადერთი საერთაშორისო წარმომადგენლობაა, რომელიც 300-ზე მერ თანამშრომელს ითვლის.
- 2021-2023 წლებში ევროკავშირმა საქართველოს თავდაცვის ძალების სამედიცინო, საინჟინრო, ლოგისტიკური და კიბერთავდაცვის შესაძლებლობების გასაძლიერებლად **ევროპის სამშვიდობო ინსტრუმენტის** (EPF) ფარგლებში **63 მილიონი** ევროს მობილიზება შეძლო. 2024 წლის ევროპის სამშვიდობო ინსტრუმენტის დახმარება 2024 წელს ქვეყანაში მდგომარეობის გაუარესების შედეგად შეჩერდა. 2025 წელს საქართველოს EPF-ის ფარგლებში დახმარება არ მიწოდებია.
- 2023 წლის ივნისში საქართველომ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში **ევროკავშირის სასწავლო მისიაში მონაწილეობა დაასრულა და ევროკავშირის კრიზისების მართვის** სხვა მისიებსა და ოპერაციებში მონაწილეობის სურვილი არ გამოუთქვამს.

ადამიანთა შორის კონტაქტები

- 2017 წლიდან საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირში უვიზო მიმოსვლით სარგებლობენ.
- 2021 წლიდან ევროკავშირმა ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში დააფინანსა ევროკავშირისა და საქართველოს მოქალაქეებს შორის 10,000-ზე მეტი გაცვლა განათლების, წვრთნის, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროებში.

© ევროკავშირი, 2025 წელი. www.euneighbourseast.eu

ევროკავშირი vs რუსეთი

საქართველოსთვის ევროკავშირი არის განვითარების გზა, ეკონომიკური ზრდა, უსაფრთხოება, დემოკრატიული წესები, თანადგომა...

რუსეთი – ზეწოლა, ქაოსი, ღალატი და უკან დაბრუნება (იხ. „აწმყო და წარსულის გაკვეთილების“ წინა ნომრები).

არჩევანი შენია: გიჯობს მოსკოვისკენ მგზავრობა, საიდანაც წარსულის ბნელ კოშმარში აღმოჩნდები თუ ევროპისკენ ნაბიჯი – სადაც სინათლე, პროგრესი და კეთილგანწყობა გელოდება.

ილია ჭავჭავაძე რუსული ცენზურის გამო:

შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!...
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისათვის დამიჩლუნგდება?

მეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით!

მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან.
შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს!.

გუთნისდედა, 1858 წ, ს. პეტერბურღი

ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი „პროგრესის სახლის“ მიერ
მისამართი: 3500, ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. N11 ა
yscozurgeti@gmail.com